საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

შ.პ.ს. „VIVACEMENT"-ის დირექტორის

ზურაბ ტოგონიძის

ტელ.: 595- 583-858; ელ.ფოსტა: zura.togonidze@gmail.com

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შ.პ.ს. „VIVACEMENT"-ის დაგეგმილი აქვს ცემენტის საწარმოს (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) მშენებლობა და ექსპლუატაცია ქ. რუსთავის სამრეწველო ზონაში, დავით გარეჯის ქუჩის მიმდებარედ, 2020.00 კვ.მ. ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ფიზიკური პირი ილია ვარამაშვილის (პ/ნომერი 35001017981) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N 02.07.02.381).

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის მე-5 პუნქტის 5.4 ქვეპუნქტის თანახმად "ცემენტის, კირის, გაჯის ან/და თაბაშირის წარმოება" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. ამ კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობისთვის გზშ-მდე ხორციელდება სკრინინგის პროცედურა, გარდა ამ მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომლის შესაბამისად "თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „VIVACEMENT" გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, ამიტომ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 მუხლით შესაბამისად, შემუშავებული იქნა სკოპინგის ანგარიში (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე), რომელსაც წარმოგიდგენთ სკოპინგის დასკვნის გასაცემად.

დანართი: 1. „VIVACEMENT"-ის ცემენტის საწარმოს (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში და დოკუმენტის ელ. ვერსია;
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

ზურაბ ტოგონიძე

შ.პ.ს. „VIVACEMENT"-ის დირექტორ

23.03.2021წ.

VIVACEMENT LTD vivacement GEORGIA 416306045

5158 24 03 2021